08/07/2026

MES 4 26 0000895009

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ეკატერინე წიფურია - სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის,, თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ნინო ბერიკაშვილი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ,,არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის“ ქვეპროგრამის მენეჯერი, საბჭოს მდივანი;
პეტრე ბაბილუა - შპს - „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
დავით მალაზონია- შპს - „თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის“დირექტორი, საბჭოს წევრი;
მანანა თურქაძე - შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში“ დირექტორთა საბჭოს წევრი და მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, საბჭოს წევრი;
დავით კახნიაშვილი - შპს - „თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი, ა(ა)იპ - „არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის“ თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;
ეკატერინე გურგენაშვილი - სსიპ - მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლის მასწავლებელი, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებული, საბჭოს წევრი;
ირმა ამირანაშვილი - შპს - ,,ქორალის“ ხარისხის მართვის მენეჯერი, საბჭოს წევრი;
კახაბერ ჩაკვეტაძე - სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
თეა სვიმონიშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს - ,,ქართული სასწავლებელი - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნია გრიგალაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯალაურთისს აჯარო სკოლა:
ბესიკი კაპანაძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოვლის საჯარო სკოლა:
ლიანა ჯალალი - სკოლის დირექტორი

სსიპ - ქალაქ თბილისის N141 საჯარო სკოლა:
მარინე სამუშია - სკოლის დირექტორი

სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლა:
იამზე ჭოხონელიძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ შუხუთის საჯარო სკოლა:
ანზორ ხუხუნაიშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ - თემურ ბოკუჩავას სახელობის აფხაზეთის №7 საჯარო სკოლა:
ელისო სიჭინავა - სკოლის დირექტორი

სსიპ - დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭართლის საჯარო სკოლა:
ნათია წიკლაური - სკოლის დირექტორი

სსიპ - ქალაქ ბათუმის N5 საჯარო სკოლა:
ნუგზარ სურმანიძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ღრმაღელის საჯარო სკოლა:
ნატო მჟავია - სკოლის დირექტორი

სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირის საჯარო სკოლა:
ინგა ტატიშვილი - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯალაურთის საჯარო სკოლა:
ა) ლელა ბუბაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნინო შუბლაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ლარისა ჯაფარიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნანა ქურთიაშვილი-თაბორიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ე) თამთა პეტრიაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ლეილა ხელისუფალი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მარინე ჩიტაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ინგა დარსაველიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) გიორგი ბერძულიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ალექსანდრე ჩახნაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ვერა სომხიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოვლის საჯარო სკოლა:
ა)ლიანა კობესაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) დავით ჭეიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ თბილისის N141 საჯარო სკოლა:
ა)რაინდი როდონაია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მაგდა მიქაბერიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლა:
ა) თამარ მიდელაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ქრისტინე ძიძიგური (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ლიანა ქოქიაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ბესიკი ბერიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) მარიამ კუჭუხიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნინო როსტომაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნანა ყანჩაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) სოფიო ხვადაგიანი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მარინე ახალაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მურად ფახურიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) სალომე ცხვედიანი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ შუხუთის საჯარო სკოლა:
ა) თალიკო ჯაყელი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) კახაბერ ფარცვანია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ინგა ლომაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მარიამ ლეკიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) რუსუდან ნიპარიშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნათია მაკრახიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მეგი კაპანაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ილონა აკობია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნატო გერგაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევან ბორაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) მანანა როსტომაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - თემურ ბოკუჩავას სახელობის აფხაზეთის №7 საჯარო სკოლა:
ა) თალიკო ჯაყელი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) დალი თურმანიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) თამარი ოღლიშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ირმა ქაფიანიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნათია კილაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) თამარ წულუკიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) თემური კურცხალია (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ციცინო გობაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) თამარი მურუსიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) კობა დეკანაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ეკატერინე კვირკველია (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭართლის საჯარო სკოლა:
ა) მარინე ჯანაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) რუსუდან უსტიაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) თეა მელქაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ანა ანუშიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ეთერი ხობუა (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) მაკა გიორგბერიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მარინე მურჯიკნელი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნათია იასაღაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნინო გორგილაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) გიორგი კოპლატაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო მახარაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ ბათუმის N5 საჯარო სკოლა:
ა) მედეა მაქაცარია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ხათუნა საყვარელიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ქეთევან ტურიაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) კახა გალდავა (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ინგა ჯაფარიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ლია ციცქიშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ცოტნე გვაჯაია (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ირმა ხუნდაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნინო გორგილაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მურად ფახურიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) სოფიო თავაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ღრმაღელის საჯარო სკოლა:
ა) ეთერ მეტრეველი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ქეთევან რეხვიაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);

გ) ირინა გოგონაია (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) გოგი ლატარია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ანანო შანავა (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ლეილა ხელისუფალი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) თეა ხუროშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნინო წიკლაური (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) შორენა ნიკოლეიშვილი(მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ედუარდ ნაკაიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) მანანა როსტომაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირის საჯარო სკოლა:
ა)ნათელა ბასილია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნატალია ბეიტრიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნონა ლაგვილა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ეკა კობიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ია გაგნიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) თამარ თავშავაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ხათუნა მარკოზაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნინო წიკლაური (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნინო საღარაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ედუარდ ნაკაიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ლანა კუჭავა (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია. საბჭოს სხდომა 2026 წლის 26 ივნისს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 14:30 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა, საბჭოს წინაშე, დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე, დამსწრე პირებმა, გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯალაურთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოვლის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

3. სსიპ - ქალაქ თბილისის N141 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ შუხუთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - თემურ ბოკუჩავას სახელობის აფხაზეთის №7 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭართლის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - ქალაქ ბათუმის N5 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. სსიპ- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ღრმაღელის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
ცენტრის წარმომადგენლის განმარტებით, ცენტრს დაუკავშირდა სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე ექსპერტი თამარ მიდელაშვილი და ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით, ითხოვა საკითხის 1-ელ საკითხად გადმოტანა.
საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა და შესაბამისად, დღის წესრიგი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

1. სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯალაურთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოვლის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - ქალაქ თბილისის N141 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ შუხუთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - თემურ ბოკუჩავას სახელობის აფხაზეთის №7 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭართლის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - ქალაქ ბათუმის N5 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. სსიპ- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ღრმაღელის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

1. სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თამარ მიდელაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 20 და 21 აპრილს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 200. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 200 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, თამარ მიდელაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი შეფასდა „მეტწილად“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივი“ შესაბამისობით.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ სკოლის ძირითად შენობასთან ერთად განთავსებული იყო დამხმარე ნაგებობა, რომელშიც მოწყობილი იყო სკოლის სპორტული დარბაზი და რესურს ოთახი. ექსპერტის თქმით, სკოლის შენობა იყო სარეაბილიტაციო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრი, მანანა თურქაძე, დაინტერესდა, კვალიფიციური კადრების დასაქმების მიზნით, ჰქონდა თუ არა სკოლას გამოცხადებული ვაკანსიები. სკოლის დირექტორმა, იამზე ჭოხონელიძემ, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან მიღებულ რჩევებსა და რეკომენდაციებზე სკოლას დაწყებული ჰქონდა აქტიური მუშაობა. მისი თქმით, კვალიფიციური კადრების დასაქმების მიზნით სკოლას გამოცხადებული ჰქონდა ვაკანსიები.

საბჭოს წევრმა, კახაბერ ჩაკვეტაძემ, აღნიშნა, რომ ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით გაცემული იყო მნიშვნელოვანი რეკომენდაციები და მიმართა ექსპერტს, მეტი დეტალი ეცნობებინა საბჭოს წევრებისთვის. ესთეტიკური აღზრდის ექსპერტმა, ნინო როსტომაშვილმა, აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს გასცა რჩევა კურიკულუმებში მასწავლებლებს შეემცირებინათ საკითხები, თუმცა საბოლოოდ წარმოდგენილ კურიკულუმებში ამოკლებული იყო თემები, რაც აფერხებდა ეროვნული სასწავლო მიზნების მიღწევას.

საბჭოს წევრი, თეა სვიმონიშვილი, დაინტერესდა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მიმართულებით ხორციელდებოდა თუ არა პროექტული სწავლება. ექსპერტმა, ნინო როსტომაშვილმა, დაადასტურა, რომ სკოლა ახორციელებდა პროექტულ სწავლებას ხელოვნების მიმართულებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 14:54
დასრულების დრო - 14:58

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ემზარ რეხვიაშვილის სახელობის ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რაჭისუბნის საჯარო სკოლას (ს/კ: 225389585) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ბოლნისის მუნიციპალიტეტი, სოფელი რაჭისუბანი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ბოლნისის მუნიციპალიტეტი, სოფელი რაჭისუბანი
3		საშუალო	ქართული	ბოლნისის მუნიციპალიტეტი, სოფელი რაჭისუბანი

	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2026 წლის სექტემბერში ბიოლოგიისა და გეოგრაფიის მიმართულებით შესაბამისი კვალიფიციური კადრის დასაქმების, მუსიკის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში სამივე თემატური ბლოკის თემების, მუსიკის საშუალო საფეხურზე პროექტული სწავლების კურიკულუმის შემუშავების, **2027 წლის მაისში** შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობის, ხოლო **2028 წლის მაისში** ინკლუზიური გარემოს შექმნის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

2. სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯალაურთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლელა ბუბაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯალაურთის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 16 და 17 აპრილს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 150. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 150 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, ლელა ბუბაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივი“ შესაბამისობით.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ, რომელიც გულისხმობდა მრავალ მიღწევას სპორტის მიმართულებით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი, კახაბერ ჩაკვეტაძე, დაინტერესდა, როგორ გეგმავდა დაწესებულება მე-2 სტანდარტთან მიმართებით მიღებული რჩევების გათვალისწინებას, ასევე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე რამდენი მოსწავლე ჰყავდა სკოლას. სკოლის დირექტორმა, ბესიკ კაპანაძემ, აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდგომ კათედრებმა გამართეს შეხვედრა და დაიწყეს მიღებული რჩევების გათვალისწინება. მისი თქმით, ახალი სასწავლო წლისთვის გათვალისწინებული იქნებოდა მე-2 სტანდარტთან მიმართებით მიღებული ყველა რჩევა. დირექტორმა ასევე აღნიშნა, რომ სკოლაში სწავლობდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ერთი მოსწავლე.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯალაურთის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 150-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:12
დასრულების დრო - 15:14

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯალაურთის საჯარო სკოლას (ს/კ: 239403882) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი

				(მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჯალაურთა, მე-2 ქუჩის I ჩიხი N6
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჯალაურთა, მე-2 ქუჩის I ჩიხი N6
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჯალაურთა, მე-2 ქუჩის I ჩიხი N6

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2027 წლის ივნისში კვალიფიციური ექიმის დასაქმების, **2028 წლის თებერვალში** პანდუსის მონტაჟისა და ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობის, ხოლო **2028 წლის ივნისში** შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

3.სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოვლის საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმური მონიტორინგი განხორციელდა დისტანციურად, დოკუმენტაციის შესწავლის გზით.
სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 21 დეკემბრის N1749013 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 200 მოსწავლით, ხოლო აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 125.
ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 1-ელი სტანდარტის (სკოლის ფილოსოფია) 1.1 (სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები) და

1.2 (სკოლის დაგეგმვა და განვითარება) კომპონენტების შეფასება. მისი თქმით, 1.1 კომპონენტი შეფასდა, როგორც „სრული შასაბამისი“, ხოლო 1.2 როგორც „არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტის, ლიანა კობესაშვილის თქმით, სკოლის მიმართ დაფიქსირდა ხარვეზი, კერძოდ, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ერთწლიან სამოქმედო გეგმის ანგარიშში არ იკვეთებოდა სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების პროცესში სასკოლო საზოგადოების და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინების ფაქტი. ექსპერტის თქმით, დაწესებულების მიმართ, გაიცა რჩევებიც, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოვლის საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 15:22
დასრულების დრო: 15:23

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოვლის საჯარო სკოლის (ს/კ: 232550655) მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2026 წლის სექტემბერში 1.2.2.2 ინდიკატორთან მიმართებით დაფიქსირებული ხარვეზის აღმოფხვრის დამადასტურებელი მტკიცებულების (სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების პროცესში სასკოლო საზოგადოების და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინების ფაქტი) წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

4. სსიპ - ქალაქ თბილისის N141 საჯარო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს

წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, რაინდი როდონაიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმური მონიტორინგი განხორციელდა დისტანციურად, დოკუმენტაციის შესწავლის გზით.
სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 27 დეკემბრის N1772330 გადაწყვეტილების თანახმად, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 1200 მოსწავლით, ხოლო აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა იყო 902.
ექსპერტმა, რაინდი როდონაიამ, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 1-ელი სტანდარტის (სკოლის ფილოსოფია) 1.1 (სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები) და 1.2 (სკოლის დაგეგმვა და განვითარება) კომპონენტების, ასევე, მე-4 სტანდარტის (მოსწავლეთა მხარდაჭერა) 4.1 (მოსწავლეთა უფლებების დაცვა) და 4.2 (მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები) კომპონენტების შეფასება. მისი თქმით, აღნიშნული კომპონენტები შეფასდა, როგორც „სრული“ შესაბამისი.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიმართ გაიცა რჩევები, რომლებიც დეტალურად აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, სსიპ - ქალაქ თბილისის N141 საჯარო სკოლის მონიტორინგთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 15:29
დასრულების დრო: 15:30

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და

ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ქალაქ თბილისის N141 საჯარო სკოლის (ს/კ: 200007679) მონიტორინგთან დაკავშირებით.

5. სსიპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ შუხუთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თალიკო ჯაყელმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ შუხუთის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 27 და 28 აპრილს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 200. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 200 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, თალიკო ჯაყელმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლის შენობას უტარდებოდა სარეაბილიტაციო სამუშაოები. ექსპერტის თქმით, დასრულებული იყო სკოლის შიდა სივრცეების მოწყობის სამუშაოები და სკოლას ჰქონდა კეთილმოწყობილი სივრცე.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ და აღნიშნა, რომ სკოლაში ფუნქციონირებდა სხვადასხვა კლუბი და წრე, ასევე, დაწესებულება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა არაფორმალური განათლების ხელშეწყობას.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა სკოლას საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო რაოდენობის მერხი და სკამი და როდის გეგმავდა ახალ შენობაში გადასვლას. ექსპერტ თალიკო ჯაყელის განმრტებით,

ლანჩხუთის რესურსცენტრის უფროსმა დაადასტურა, რომ 2026 წლის სექტემბრის თვეში, სკოლა სრულად იქნებოდა აღჭურვილი ყველა საჭირო რესურსით და შეძლებდა ახალ შენობაში გადასვლას.
საბჭოს მდივანი, ნინო ბერიკაშვილი, დაინტერესდა, რა მტკიცებულებებით ადასტურებდა სკოლა, რომ ხელს უწყობდა არაფორმალურ განათლებას. ექსპერტმა, თალიკო ჯაყელმა, განმარტა, რომ საგნობრივი ექსპერტებისთვის მტკიცებულებას წარმოადგენდა ის გარემოება, რომ პროექტული სწავლება ინტეგრირებული იყო კურიკულუმებში. მისივე თქმით, სკოლამ ასევე წარმოადგინა დამატებთი დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ხოლო მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრების შედეგად კი დადასტურდა, სკოლის მიერ განხორციელებული სხვადასხვა აქტივობა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ შუხუთის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:51
დასრულების დრო - 15:54

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ შუხუთის საჯარო სკოლას (ს/კ: 233727786) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფელი შუხუთი
2		საბაზო	ქართული	

	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფელი შუხუთი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფელი შუხუთი

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2026 წლის სექტემბერში საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმების, სამედიცინო კაბინეტის აღჭურვის, შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოსამეთვალყურეო კამერების კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის, საბიბლიოთეკო სივრცის მოწყობის, სართულებს შორის დამაკავშირებელი ლიფტის ტექნიკური გამართულობის შესახებ დასკვნის, **2027 წლის აპრილში** საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსის უზრუნველყოფის, ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის ლაბორატორიის სრულად აღჭურვის, ხოლო **2028 წლის ივნისში** შენობა -ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

6. სსიპ - თემურ ბოკუჩავას სახელობის აფხაზეთის №7 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თალიკო ჯაყელმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - თემურ ბოკუჩავას სახელობის აფხაზეთის №7 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 04 და 05 მაისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 400. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 400 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, თალიკო ჯაყელმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო

საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სკოლის შენობას სარეაბილიტაციო სამუშაოები დიდიხანია არ ჩატარებია, შექმნილი იყო კეთილმოწყობილი და მოწესრიგებული გარემო. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულება ატარებდა გმირის, თემურ ბოკუჩავას სახელს.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ არაფორმალური განათლების მიმართულებით სკოლა ახორციელებდა სხვადასხვა პროექტს, სკოლაში ისწავლებოდა აფხაზური ენა და სამხედრო საქმე, ასევე, სკოლა ახორციელებდა STEM პროექტებს.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დაინტერესდა, როგორ გეგმავდა სკოლა კვალიფიციური კადრების დასაქმებას და როგორი საათობრივი დატვირთვა ჰქონდათ არასერტიფიცირებულ მასწავლებლებს. ექსპერტმა, თალიკო ჯაყელმა, აღნიშნა, რომ სკოლას გამოცხადებული ჰქონდა ვაკანსიები და გარდა ამისა, ის მასწავლებლები რომლებიც ასწავლიდნენ სკოლაში, დარეგისტრირებული იყვნენ მასწავლებლის გამოცდებზე. სკოლის დირექტორმა, ელისო სიჭინავამ, აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა მოწვეული სტატუსის მქონე ორი მასწავლებელი, რომელთა დატვირთვაც იყო არაუმეტეს 9 საათისა.
საბჭოს წევრი, დავით მალაზონია, დაინტერესდა, როგორ გეგმავდა სკოლა მიღებული რჩევების გათვალისწინებას. ექსპერტმა, თალიკო ჯაყელმა, აღნიშნა, რომ სკოლას მიღებული რჩევების მიმართ ჰქონდა სრული მიმღებლობა და ვიზიტის დროს სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ავტორიზაციის პროცედურა სკოლას დაეხმარებოდა შემდგომ განვითარებაში. სკოლის დირექტორის თქმით, დასკვნის მიღების შემდგომ შეიკრიბა კათედრები და დაიწყეს რჩევების გათვალისწინება. მისი თქმით, 2026 წლის სექტემბრის თვეში, სასწავლო პროცესის დაწყებამდე, ყველა რჩევას გაითვალისწინებდნე.
საბჭოს მდივანი, ნინო ბერიკაშვილი, დაინტერესდა, რა ეტაპზე იყო ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობის საკითხი. სკოლის დირექტორმა, ელისო სიჭინავამ, აღნიშნა, რომ სკოლას მუდმივად ჰქონდა კომუნიკაცია აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროსთან, სკოლას გაგზავნილი ჰქონდა ხარჯთაღრიცხვა და ელოდებოდნენ მხარდაჭერას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თემურ ბოკუჩავას სახელობის აფხაზეთის №7 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 400-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:19
დასრულების დრო - 16:20

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - თემურ ბოკუჩავას სახელობის აფხაზეთის №7 საჯარო სკოლას (ს/კ: 253644579) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი სენაკი, სამხედრო ქალაქი N3
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი სენაკი, სამხედრო ქალაქი N3
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი სენაკი, სამხედრო ქალაქი N3

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2026 წლის სექტემბერში კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისი ადამიანური რესურსის მობილიზების, **2026 წლის დეკემბერში** შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დადებითი დასკვნის, **2027 წლის მაისში** ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

7. სსიპ - დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭართლის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა

დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მარინე ჯანაშვილმა. ექსპერტმა სსიპ - დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭართლის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 18 და 19 მაისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 80. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 80 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, მარინე ჯანაშვილმა, ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ სკოლაში ხორციელდებოდა სხვადასხვა აქტივობა, მათ შორის სასკოლო ბიბლიოთეკის მუშაობის ფარგლებში დაგეგმილი და განხორციელებული იყო ლიტერატურული ღონისძიებები. ექსპერტის თქმით, სკოლის ბიბლიოთეკარი იყო გოდერძი ჩოხელის და, რომელიც მოსწავლეებს უფრო სიღრმისეულად აცნობდა მის შემოქმედებასა და მასთან დაკავშირებულ ისტორიებს.
ექსპერტმა, მარინე ჯანაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულება საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებდა ერთ მისამართზე მდგომ ორ შენობაში, ორივე შენობას ესაჭიროებოდა სარემონტო სამუშაოები, თუმცა, საერთო შეფასებით, შენობაში შექმნილი იყო მოწესრიგებული გარემო.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის შემდგომ, დაწესებულებამ წარმოადგინა შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, რომლის თანახმადაც, ორივე შენობის ტექნიკური მდგომარეობა იყო დამაკმაყოფილებელი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დაინტერესდა, რა ეტაპზე იყო საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან შეთანხმების საკითხი.
სკოლის დირექტორმა, ნათია წიკლაურმა, აღნიშნა, რომ სკოლას დაწყებული ჰქონდა აქტიური მუშაობა და შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში შეათანხმებდნენ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭართლის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 80-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:35
დასრულების დრო - 16:37

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭართლის საჯარო სკოლას (ს/კ: 229322239) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 80-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭართალი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭართალი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭართალი

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2027 წლის მარტში ორივე შენობისთვის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმების, ორივე შენობისთვის მეორე სართულზე ასასვლელი პანდუსის მოწყობის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში გამწოვი სისტემისა და სველი წერტილის (წყლის) მოწყობის, ხოლო **2028 წლის ივნისში** ორივე შენობისთვის შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

8. სსიპ - ქალაქ ბათუმის N5 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მედეა მაქაცარიამ. ექსპერტმა სსიპ - ქალაქ ბათუმის N5 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 29 და 30 აპრილს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 2450. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 2450-ით განსაზღვრას ეთანხმებოდა მხოლოდ ორი ცვლის პირობებში.

ექსპერტმა, მედეა მაქაცარიამ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს სკოლის შენობას უტარდებოდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, თუმცა ექსპერტის თქმით, სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი იყო კეთილმოწყობილი და სკოლას ჰქონდა საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო ყველა რესურსი და სივრცე.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია, დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა სკოლას შესაბამისი სივრცე, რომ საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 2450 მოსწავლისთვის. ექსპერტმა, მედეა მაქაცარიამ, აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა საკმაოდ დიდი და კეთილმოწყობილი სივრცე, თუმცა საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას აპირებდა ორი ცვლის პ ი რ ო ბ ე ბ შ ი .

საბჭოს წევრი, კახაბერ ჩაკვეტაძე, დაინტერესდა, დასრულდა თუ არა სარეაბილიტაციო ს ა მ უ შ ა ო ე ბ ი ს კ ო ლ ა შ ი .

ექსპერტმა, ნუგზარ სურმანიძემ, აღნიშნა, რომ სკოლაში სარემონტო სამუშაოები დასრულდა და შესაბამისი ინვენტარი განთავსებული იყო საკლასო ოთახებსა და სხვა სივრცეებში. მისი თქმით, სკოლა ახალი სასწავლო წლისთვის შეუფერხებლად დაიწყებდა საგანმანათლებლო საქმიანობას განახლებულ შენობაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - ქალაქ ბათუმის N5 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2450-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:51
დასრულების დრო - 16:53

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ბათუმის N5 საჯარო სკოლას (ს/კ: 245429433) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2450-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ბათუმი, მაიაკოვსკის ქუჩა N58
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ბათუმი, მაიაკოვსკის ქუჩა N58
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი ბათუმი, მაიაკოვსკის ქუჩა N58

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2026 წლის სექტემბერში ერთწლიანი სამოქმედო და შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმებით გათვალისწინებული ამოცანების თანხვედრაში მოყვანის, სამოქმედო გეგმაში სტრატეგიული მიზნების და ამოცანების შესაბამისი აქტივობების, მასწავლებელთა სავალდებულო ცნობების, შენობაში დამონტაჟებული ლიფტის ამოქმედების, **2026 წლის დეკემბერში** შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, საგანგებო სიტუაციების მართვის

შეთანხმებული გეგმის, **2027 წლის ივნისში** კომპიუტერული მეცნიერებების ლაბორატორიებში შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიების რესურსის მონტაჟის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში მატერიალური რესურსებით სკოლის აღჭურვის, ხოლო **2028 წლის ივნისში** შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

9. სსიპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ღრმაღელის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ეთერ მეტრეველმა. ექსპერტთა ჯგუფმა, სსიპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ღრმაღელის საჯარო სკოლაში, ავტორიზაციის ვიზიტი განახორციელა 2026 წლის 20 და 21 აპრილს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 150. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 150 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, ეთერ მეტრეველმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ ის შენობა, სადაც ხორციელდებოდა საგანმანათლებლო საქმიანობა ახლადრეაბილიტირებული და კეთილმოწყობილი იყო, თუმცა სკოლის შენობის მიმდებარედ იყო კიდევ რამდენიმე სადემონტაჟო შენობა, რასთან დაკავშირებითაც ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაიცა რეკომენდაცია.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ სკოლაში ფუნქციონირებდა სხვადასხვა მიმართულების უფასო წრე, ასევე, სკოლა ხელს უწყობდა არაფორმალური განათლებას.
საბჭოს წევრმა, კახაბერ ჩაკვეტაძემ, აღნიშნა, რომ საგნობრივი მიმართულებებით გაცემული იყო ძალიან კვალიფიციური და მნიშვნელოვანი რჩევები და იმედოვნებდა, რომ სკოლა გაითვალისწინებდა, განსაკუთრებით კი ტექნოლოგიების მიმართულებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ღრმაღელის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 150-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 17:11
დასრულების დრო - 17:13

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ღრმაღელის საჯარო სკოლას (ს/კ: 233727946) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ღრმაღელე მე-9 ქუჩა N 2
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ღრმაღელე მე-9 ქუჩა N 2
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ღრმაღელე მე-9 ქუჩა N 2

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის სექტემბერში სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მეთოდოლოგიური დოკუმენტის შესაბამისად შემუშავების, პერსონალის პირად საქმეებში სავალდებულო ცნობების განთავსების, მრჩეველთა საბჭოს დამტკიცების, შენობა-ნაგებობის მიღება-ჩაბარების აქტის მოპოვების, ვებ-გვერდზე სკოლაში ჩარიცხვის პროცედურებთან დაკავშირებული ინფორმაციის განთავსების, სპეციალური პედაგოგისა და მეტყველების თერაპევტის დასაქმების, მათემატიკის კურიკულუმის ინდიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის, **2026 წლის ნოემბერში** საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმების, სკოლის ტერიტორიის შემოღობვის, სადემონტაჟო შენობების გამიჯვნის, ხოლო **2028 წლის ივნისში** შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

10. სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნათელა ბასილიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 30 აპრილსა და 01 მაისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 400. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 400 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, ნათელა ბასილიამ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) და მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულების შენობა იყო ახლადრეაბილიტირებული და შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ სკოლაში დანერგილი იყო სასკოლო ფორმების ტარების პრაქტიკა სამივე საფეხურის მოსწავლეებისთვის. მისივე განმარტებით, სკოლაში ხორციელდებოდა სხვადასხვა პროექტი და აქტივობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, კახაბერ ჩაკვეტაძემ, აღნიშნა, რომ საგნობრივი მიმართულებებით გაცემული იყო მნიშვნელოვანი რჩევები და იმედოვნებდა, რომ სკოლა გაითვალისწინებდა აღნიშნულს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 400-ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 17:28
დასრულების დრო - 17:30

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირის საჯარო სკოლას (ს/კ: 236087550) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ციხისძირი
2		საბაზო	ქართული	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ციხისძირი

	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ციხისძირი

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:
2026 წლის სექტემბერში სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართუულობის, კვალიფიციური ექიმის დასაქმების, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შექმნის, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის სრულყოფილი დოკუმენტის შემუშავების, სკოლის დირექტორის N43 ბრძანებაში ცვლილების განხორციელების, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების, სკოლის ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსების, კომპიუტერული ტექნოლოგიების მიმართულებით მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინების (2.1.2.1 და 2.1.2.2 ინდიკატორები), **2027 წლის მარტში** შენო ბა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, ხოლო **2028 წლის ივნისში** შენ ობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 17:33 საათზე საბჭოს სხდომა დასრულებულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიკაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
წიფურია ეკატერინე